„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" არჩევნების დღის მონიტორინგი ქვემო ქართლში განახორციელა

- **ქვემო ქართლი კვლავ რჩება ერთ-ერთ პრობლემურ რეგიონად საქართველოში არჩევნების ადმინისტრირების კუთხით**
- **110 საარჩევნო უბნიდან, სადაც მონიტორინგი განხორციელდა, 56-ში მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა**

თბილისი, საქართველო – 2008 წლის 21 მაისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" განახორციელა კენჭისყრის და ხმების დათვლის პროცედურების მონიტორინგი ქვემო ქართლის ხუთ საარჩევნო ოლქში: მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისში და წალკაში. სულ ორგანიზაციას არჩევნების დღეს ამ რეგიონში 110 საუბნო დამკვირვებელი ჰყავდა და შესაბამისად, უბნების საერთოო რაოდენობის 40% დაფარა. საუბნო დამკვირვებლების გარდა მონიტორინგის პროცესში ჩართულები იყვნენ მობილური ჯგუფის დამკვირვებლებიც (სულ ხუთი მობილური ჯგუფი).

უბნები შეირჩა ამომრჩევლების რაოდენობის და მათი ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" დამკვირვებელი იმ საარჩევნო უბნებში მიავლინა, სადაც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა მაღალი იყო და სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენდნენ. ასეთ უბნებზე ყურადღების გამახვილება ორგანიზაციამ იმის გამო გადაწყვიტა, რომ წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ ამ ტიპის სააარჩევნო უბნებში გამოვლინდა. იმისთვის, რომ დამკვირვებლები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების და სხვა პირების ზეწოლისგან დაიცვა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" დამკვირვებლებად შეარჩია არა ამ რეგიონის მაცხოვრებლები, არამედ სხვა ქალაქებიდან მობილიზებული მოქალაქეები.

არჩევნების დღის მონიტორინგი დაიწყო დილის 7 საათზე და გაგრძელდა საარჩევნო უბნებში ხმების დათვლის პროცედურების დასრულებამდე. როგორც მონიტორინგმა ცხადყო, ქვემო ქართლი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ რეგიონად არჩევნების ადმინისტრირების კუთხით. 110 უბნიდან, სადაც ორგანიზაციის დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, 56-ში სერიოზული ხარვეზები და დარღვევები დაფიქსირდა – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დაბალი კვალიფიკაციით დაწყებული ბიულეტენების ჩაყრის და ე.წ. „კარუსელებით" დამთავრებული.

ყველაზე ხშირი იყო შემდეგი სახის პრობლემები: საარჩევნო უბნის შიგნით აგიტაცია მმართველი პარტიის სასარგებლოდ, კენჭისყრის ფარულობის უგულვებელყოფა, სხვის ნაცვლად ხმის მიცემა, პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე ბიულეტენების გაცემა, მარკირების პროცედურების დარღვევა, არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბნის შიგნით, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების გადასწორება.

სირთულეებთან იყო დაკავშირებული შემაჯამებელი ოქმების ასლების მოპოვება. საუბნო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" დამკვირვებლებს უარს ეუბნებოდნენ მათ გადაცემაზე. საარჩევნო უბნების დიდ ნაწილში პრობლემა მხოლოდ საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების ჩარევის შემდეგ მოგვარდა.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო საჩივრების რეგისტრაციაზე უარის თქმა. 14 საარჩევნო უბანში კომისიების თავმჯდომარეებმა და მდივნებმა ორგანიზაციის დამკვირვებლების საჩივრები არ მიიღეს (რეგისტრაციაში არ გაატარეს). რამდენიმე სხვა უბანში ეს პრობლემაც საოლქო და ცენტრალური

მონიტორინგი განხორციელდა „შვეიცარიის განვითარების სააგენტოს" ფინანსური მხარდაჭერით. პრესრელიზში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

საარჩევნო კომისიების ჩარევის შედეგად გადაიჭრა. საბოლოო ჯამში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" დამკვირვებლებმა 137 საჩივარი დაწერეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დამკვირვებლებზე ზეწოლის ფაქტები. დამკვირვებლების სიტყვიერ შეურაცხსყოფას აყენებდნენ და მათ დაშინებას ცდილობდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლიციის თანამშრომლები, დაუდგენელი პირები და ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ლეგის" დამკვირვებლები. ეს დამკვირვებლები არა მხოლოდ სხვა დამკვირვებლებს ემუქრებოდნენ, არამედ საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობაშიც უხეშად ერეოდნენ და ამომრჩევლებსაც მიუთითებდნენ, ვისთვის მიეცათ ხმა.

მონიტორინგი განხორციელდა „შვეიცარიის განვითარების სააგენტოს" ფინანსური მხარდაჭერით. პრესრელიზში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra